

ობიექტზე ორიენტირებული დაპროგრამება 1
(C++/C#-ის ბაზაზე, ინფორმატიკა) I სემესტრი. 2018-2019 წელი
(ფინალური გამოცდის ნიმუში)

კითხვა 1

მასივი არის:

აირჩიეთ ერთი:

- a. ობიექტების ერთობლიობა
- b. სიმბოლო
- c. მუდმივა

კითხვა 2

`double [] masivi = new double[3];` მასივის ელემენტებს აქვს:

აირჩიეთ ერთი:

- a. ლოგიკური ტიპი
- b. წილადი ტიპი
- c. მთელი ტიპი

კითხვა 3

იქმნება თუ არა ობიექტი `class` სიტყვის გამოყენებით კლასის გამოცხადებისას:

აირჩიეთ ერთი:

- a. კი
- b. არა
- c. ხანდახან

კითხვა 4

როგორ ტიპებს ეკუთვნის კლასები:

აირჩიეთ ერთი:

- a. ლოგიკურს
- b. მიმართვითს
- c. ჩვეულებრივს

კითხვა 5

თუ მეთოდი არა ბრუნებს შედეგს, მაშინ რომელი ტიპი უნდა მივუთითოთ:

აირჩიეთ ერთი:

- a. void
- b. bool
- c. int

კითხვა 6

იმყოფება თუ არა პარამეტრი თავისი მეთოდის ხილვადობის უბანში:

აირჩიეთ ერთი:

- a. კი
- b. ზოგჯერ
- c. არა

კითხვა 7

~ (ტილდა) სიმბოლო მიეთითება:

აირჩიეთ ერთი:

- a. კონსტრუქტორის სახელის შემდეგ
- b. კონსტრუქტორის სახელის წინ
- c. დესტრუქტორის სახელის წინ

კითხვა 8

`this.xarisxi = xarisxi`; მინიჭების ოპერატორში:

აირჩიეთ ერთი:

- a. `xarisxi` არ არის მეთოდის პარამეტრი
- b. `xarisxi` არის მეთოდის პარამეტრი
- c. `this.xarisxi` არის მეთოდის პარამეტრი

კითხვა 9

კლასისაგან განსხვავებით სტრუქტურა:

აირჩიეთ ერთი:

- a. უზრუნველყოფს მემკვიდრეობითობას
- b. არ უზრუნველყოფს მემკვიდრეობითობას

კითხვა 10

`ricxvi = obieqti.Next(5)`; ოპერატორის შესრულების შედეგად `ricxvi` ცვლადს მიენიჭება:

აირჩიეთ ერთი:

- a. 5-ის ტოლი მნიშვნელობა
- b. 5-ზე ნაკლები მნიშვნელობა
- c. 5-ზე მეტი მნიშვნელობა

კითხვა 11

მეთოდისთვის ჩვეულებრივი ტიპის მქონე მნიშვნელობის გადაცემისას გამოიყენება:

აირჩიეთ ერთი:

- a. გადაცემა მნიშვნელობის მიხედვით

- b. გადაცემა მიმართვის მიხედვით
- c. ლოგიკური მონაცემების გადაცემა

კითხვა 12

თუ გადატვირთვად მეთოდებში პარამეტრების რაოდენობა თანაბარია და არგუმენტებსა და პარამეტრებს განსხვავებული ტიპები აქვს, მაშინ:

აირჩიეთ ერთი:

- a. ყველა მონაცემი გარდაიქმნება მთელი ტიპის მონაცემად
- b. სრულდება ტიპების ავტომატური გარდაქმნა
- c. არ სრულდება ტიპების ავტომატური გარდაქმნა

კითხვა 13

სტატიკურ მეთოდს:

აირჩიეთ ერთი:

- a. არ აქვს this მიმართვა
- b. ხანდახან აქვს this მიმართვა
- c. აქვს this მიმართვა

კითხვა 14

LastIndexOf მეთოდი:

აირჩიეთ ერთი:

- a. ადარებს გამომძახებელ სტრიქონსა და თავის არგუმენტს
- b. გასცემს გამომძახებელი სტრიქონის ინდექსს, რომელშიც უკანასკნელად იყო ნაპოვნი მისი არგუმენტი
- c. გასცემს გამომძახებელი სტრიქონის ინდექსს, რომელშიც პირველად იყო ნაპოვნი მისი არგუმენტი

კითხვა 15

რა იქნება str1 ცვლადის მნიშვნელობა მოცემული კოდის შესრულების შემდეგ

```
{  
string str1, str2 = "C# დაპროგრამების ენაა", str3 = "თანამედროვე ";  
str1 = str2.Insert(17, str3);  
label1.Text = str1;  
}
```

აირჩიეთ ერთი:

- a. მიიღება სტრიქონი "C# თანამედროვე ენაა"
- b.

მიიღება სტრიქონი "C# დაპროგრამების თანამედროვე ენაა"



c.

მიიღება სტრიქონი "C#დაპროგრამებისთანამედროვეენა"

კითხვა 16

რა იქნება index1 ცვლადის მნიშვნელობა მოცემული კოდის შესრულების შემდეგ

```
{  
char[] simboloebis_masivi = { 'ნ', 'ა' };  
string striqoni1 = "ლიკა, ანა და რომანი";  
int indexi1 = striqoni1.IndexOfAny(simboloebis_masivi, 5);  
}
```

აირჩიეთ ერთი:



a. 6



b. 5



c. 4

კითხვა 17

DateTime სტრუქტურის DayOfWeek თვისება:

აირჩიეთ ერთი:



a. შეიცავს მიმდინარე თარიღსა და დროს



b. შეიცავს თვის დღის მნიშვნელობას 1, 31 დიაპაზონში



c. შეიცავს კვირის დღის მნიშვნელობას 0 (კვირა) , 6 (შაბათი) დიაპაზონში

კითხვა 18

TimeSpan Drois_Intervali1 = new TimeSpan(5, 15, 45); კოდის შესრულების შედეგად:

აირჩიეთ ერთი:



a. არ შეიქმნება დროის ინტერვალი, რომელიც შეიცავს საათს, წუთსა და წამს



b. შეიქმნება დროის ინტერვალი, რომელიც არ შეიცავს საათს, წუთსა და წამს



c. შეიქმნება დროის ინტერვალი, რომელიც შეიცავს საათს, წუთსა და წამს